საქართ. მუშმარც. სოც.-ფედ. საბჭ. პარტია

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 20,000 მან. ნონპარელი
4 „ 10,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 500,000 მან.
4 „ 300,000 „

№ 388 შაბათი, იანვარს 6 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

# იანვრის 9-ს ტფილისის ახალი საბჭოს არჩევნებია.

## ტფილისის საბჭო მშრომელთა ბატონობის ერთი მთავარი სიმაგრეთაგანია საქართველოში.

**ამხ. მუშებო და წითელ-არმიელებო! გაამაგრეთ ტფილისის საბჭო თქვენი ენერგიული მონაწილეობით და ხმა მიეცით მშრომელთა ბატონობის მოსარჩლე პარტიების კანდიდატებს!**

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ელირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი 10—34 ფოსტის ყუთი № 190.

სერგი ბესარიონის ძე მხეიძე და მეუღლე მაკრინე ყიფიანის ასული მხეიძისა შვილებით: აკაკი, კონდრატი, ბესარიონი, მელიტონი, ვერა მესხისა, ელენე ნიშნიანიძისა და შუშანა, რძლები: იულია კანდელაკის ასული, თამარი ჩარკვიანის ასული და ნინა დარახველიძის ასული მხეიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებთ პეტროგრადში ტრაგიკულად და უდროოდ დაღუპულის ახალგაზრდა ინჟინრის

**სილოვან გიორგის ძე ყიფიანის**

ორმოცი დღის პანაშვიდი დანიშნულია ხვალ კვირას 7 იანვარს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ დღის პირველ საათზე.

1—1 375

მწუხარებაში მყოფნი ნინო, ვასილი, შალვა და ანდრია მალაშხიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 7 იანვარს ამა წელს 11 ნახ. საათზე იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპის შემდეგ სამი წლის და ნახევარი წლის შესრულების გამო სამხედრო ფრინავების პირველთა ძვირფასი და დაუვიწყარი შვილების და უკანასკნელთა ძმების

**გრიგოლ (გრიშა) და ალექსანდრე (საშა) მალაშხიების**

მოსაგონებლად მათი ძვირფას საფლავზე დიდუბის ეკლესიის გალავანში.

1—1 374

ქალ. თბილისის აღმასკომი აცხადებს

**კონკურსს ამხ. კამოს ძეგლის პროექტის შესახებ**

პროექტი უნდა იქნეს წარმოდგენილი არა უგვიანეს 20 იანვრისა აღმასკომის პრეზიდიუმში.

პ რ ე მ ი ა: 1-ლი—30 მილ. მან. მე-2 25 მილ. მან. მე-3 20 მილ. მანეთი.

აღმასკომის თავმჯდომარე ლ. დუმბაძე.

3—3 მდივანი გრ. ხუნდაძე.

## ტფილისის საბჭოს არჩევნები და სტუდენტობა

საბჭოთა რესპუბლიკებში განსაკუთრებული ხასიათი აქვს არჩევნებს. საარჩევნო ინსტრუქცია აგებულია მშრომელთა დიქტატურის პრინციპის მიხედვით. აქ შეუძლებელია ექსპლოატატორთა არჩევა. ასეთი წესი არჩევნებისა ყველაზედ უფრო მიზანშეწონილად და მისაღებად უნდა ჩაითვალოს მუშათა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც „თავისუფალი“ და „საყოველთაო“ არჩევნებია, არსებითად ფეხ-ქვეშ გათელილია საზოგადოების მშრომელი ნაწილის ინტერესები. ამის ტიპიური მაგალითია ინგლისი და ამერიკა.

ცნობილია, რომ ამერიკაში პარტიები ორ საარჩევნო პროგრამას აღგენენ, პირველს ხალხისათვის, რომელიც გამოქვეყნდება, ხოლო მეორეს ტრესტებისათვის, რომელიც არ გამოქვეყნდება, მაგრამ განხორციელდება.

საჭირო არ არის, ყველა იმ ფაქტიური მოვლენების აღნიშვნა, რომელიც დაკავშირებულია „საყოველთაო“ არჩევნებთან. ხმების მოყიდვა, მუშათა მოტყუილება, ტერორი და ძალდატანება განუყრელი თვისებაა „თავისუფალი“ არჩევნების.

ყოველივე ასეთი მხარეებით შემკული იყო მენშევიკურ სახელმწიფოს არჩევნები. კომისრების და გვარდიელების ძალდატანებისა და პოგრომების სისტემით მიმდინარეობდა „დემოკრატიის“ ნებისყოფის გამოხატვა.

დღეს არჩევნებს მეტად მარტივი ხასიათი აქვს. ამრჩეველიც და ასარჩევიც მშრომელი ხალხია. ამ მხრივ უმაღლესი სასწავლებლის მოწაფეთა საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ჩვენში სტუდენტობა მშრომელი ახალგაზრდობაცაა ამავე დროს. „სტუდენტი-ბურჟუა“ არ იცის საქართველოს სინამდვილემ, როგორც ტიპიური სტუდენტი. ჩვენი სტუდენტი მუშისა და გლეხის შვილია, რომელიც კანიკულების განმავლობაში თოხით და ბარით ამუშავებს საქართველოს ნიადაგს. იგი სოფლის შვილია, რომელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული, როგორც მომუშავე, როგორც სოფლის წვრილი მეურნის შვილი.

ამიტომ სტუდენტობა არ შეიძლება იყოს მშრომელთა საქართველოს წინააღმდეგი.

სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ ტფილისის საბჭოს მიმდინარე არჩევნებში და აირჩევენ თავის წარმომადგენლებს.

ჩვენი სტუდენტების ცხოვრებაში ეს ფაქტი მნიშვნელოვანია.

საბჭოთა საქართველო სტუდენტობას განსაკუთრებულ მფარველობას უწევს. თუ მენშევიკური მთავრობა სტუდენტებს არ ანთავისუფლებდა სამხედრო სამსახურიდან, დღეს ეს ასე არ არის. სტუდენტს ვერავინ შეუშლის ხელს აკადემიურ მუშაობაში, თუ კი იგი ამ მუშაობას მართლაც ეწევა. სტუდენტობა მენშევიკური ხელისუფლებისაგან ვერ ღებულობდა ვერავითარ დახმარებას, დღეს სტუდენტობა ღებულობს საგრძნობ დახმარებას ხელისუფლებისაგან, როგორც სურსათის, ისე ფულის მხრივ.

იგი დღეს აღჭურვილია საარჩევნო უფლებითაც და შეუძლია თავისი სიტყვა უთხრას საქართველოს დედაქალაქის მუშებს.

უსირცხვილო დემაგოგიის შედეგია ისეთი ჭორები, რომელნიც სტუდენტთა დევნაზედ მოგვითხრობს. სტუდენტობა, როგორც განსაკუთრებული წრე საზოგადოებისა არა თუ არ იდევნება, არამედ იგი მფარველობის ქვეშ არის, ხოლო ის, ვინც საბჭოთა საქართველოს დამხობას ისახავს მიზნად იდევნებოდა და მომავალშიაც დევნილი იქნება, სულ ერთია იგი სტუდენტის ქუდით მოგვევლინება თუ ქათალიკოსის მიტრით.

ქართველმა სტუდენტებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ თავისი ქვეყნის მდგომარეობა და დედა-ქალაქის მუშებთან ერთად უნდა მიიტანონ თავისი წვლილი ჰალაროსან ტფილისის ასაღორძინებლად.

## ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

**ქ. ტფილისის, მისი რაიონების და ტფილისის მაზრის მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ხელახალი არჩევისათვის**

1 ქ. ტფილისის, მისი რაიონების და ტფილისის მაზრის მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ყველა მოქალაქენი, მიუხედავად სქესისა მუდმივი ბინადრობის, ქვეშევრდომობის, ეროვნების, სარწმუნოებისა და სხვა ასეთებისა მოქალაქენი, რომლითაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 19 წელი.

ა) ყველა ისინი, რომელნიც თავს ირჩენენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომით, როგორც მაგ.: მუშები და მოსამსახურეები ყოველგვარ სახისა და კატეგორიისა, რომელნიც მუშაობენ სამრეწველო, სავაჭრო დაწესებულებებში, სასოფლო მეურნეობაში, შინამრეწველნი (რომელნიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან), მუშათა არტელების წევრნი, პროფკავშირთა უმუშევარი—წევრები.

ბ) წითელ არმიელები და სამხედრო მოსამსახურეები, რომელნიც იმყოფებიან საგარნიზონო სამსახურში და მუდმივ ცხოვრობენ ქ. ტფილისში მის რაიონებში და ტფილისის მაზრაში.

გ) ის მოქალაქენი, რომელნიც ეკუთვნიან ზემოჩამოთვლილ კატეგორიებს, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი, დასახიჩრებული მეომრები და სხვ.

დ) ის მუშათა ოჯახები, რომელნიც მუშაობენ წარმოებებში.

ე) უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები.

2. ვერ აირჩევენ და არ შეუძლიათ არჩეულ იქნენ, თუნდაც ეკუთვნოდნენ რომელიმე ზემოჩამოთვლილ კატეგორიას:

ა) ის პირნი, რომელნიც მიმართავენ დაქირავებულ შრომას, მოგების მიზნით.

ბ) ის პირნი, რომელნიც ცხოვრობენ არა შრომითი შემოსავლით (როგორც მაგ.: კაპიტალის პროცენტებით, წარმოებათა შემოსავლით, ქონების შემოსავლით და სხვა).

გ) კერძო მოვაჭრენი და სავაჭრო-საკომერციო შუამავლები.

დ) ბერები და საეკლესიო და სარწმუნოებრივ კულტების სასულიერო მოსამსახურენი.

ე) ყოფილი მეფის პოლიციის „ოხრანის“ განყოფილებათა და ჩამოგდებულ მთავრობის ყოფილ განსაკუთრებულ რაზმის მოსამსახურენი და აგენტები.

ვ) ის პირნი, რომელნიც სათანადო წესით ცნობილნი არიან სულით ავადმყოფებად ან ჭკუაზე შეშლილნი და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც ვისიმე მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

ზ) ის პირნი, რომელიც გასამართლებულნი არიან ანგარებითი და სამარცხვინო ბოროტ-მოქმედებისათვის და მიენიჭათ სასჯელი კანონით ან სასამართლოს განაჩენით.

3. ტფილისის მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოში წარმომადგენლობის ნორმა შემდეგია:

ა) ყოველ 150 ამომრჩეველზე—1 დელეგატი.

**შენიშვნა:** 1. თუ წარმოებაში, ფაბრიკაში, ქარხანაში, საზელოსნოში და სხვ. ამომრჩეველთა რიცხვის 150 კაცს აღემატება, მაგრამ არა ნაკლებ 75 კაცით, მაშინ ისინი ირჩევენ ტფილისის საბჭოში დამატებით კიდევ ერთ დეპუტატს.

2. წარმოებები და სამხედრო ნაწილები, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 150 კაცს არ აღწევს, ერთდებიან და ერთად ირჩევენ დეპუტატებს.

3. იქ, სადაც გაერთიანება მაინც არ იძლევა 150 დელეგატს (მაგ. 75, 90, 100) ამომრჩეველნი რაოდენობის მიხედვით აგზავნიან ტფილისის საბჭოში ერთ წარმომადგენელს.

4. ტფილისის მაზრის მცხოვრებნი აგზავნიან დელეგატებს შემდეგი ნორმით: 1000 კაცი—1 დელეგატს.

5. საბჭოთა და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეებს შორის არჩევნები სწარმოებს საზოგადო კრებებზე, რომელსაც მართავენ პროფესიონალური კავშირები (მაგ. საბჭოთა მოსამსახურეების კავშირი და სხ.) წარმომადგენლების ნორმა: 300 კაცი ირჩევს 1 დელეგატს, მაგრამ თვითეულ გაერთიანებისაგან არა უმეტეს 10 დელეგატისა.

6. მუშათა ოჯახებისათვის წარმომადგენლობის ნორმა—150 შეკრებილ წევრთაგან—1 დელეგატი.

7. უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები ირჩევენ შემდეგი ნორმით: 300 მოსწავლე—1 დელეგატს.

შინამრეწველები:—300 კაცი—1 დელეგატს.

9. უმუშევრები: წარმომადგენლების ნორმა: მუშები 150 კაცისაგან—1 დელეგატს, მოსამსახურეები 300—1 დელეგატს.

10. ინვალიდები 300 შეკრებილი ამომრჩეველი 1 დელეგატს.

4. დეპუტატების არჩევნები სწარმოებს საზოგადო კრებებზე:

ა) მუშები, მოსამსახურეები, რკინისგზელები, სამრეწველო და სავაჭრო წარმოებებში (ფაბრიკებსა, ქარხნებსა, სამრეწველოებსა, სახელსნოებსა და სამსახურებში).

ბ) წითელ-არმიელები (ბრიგადებსა, პოლკებსა, ცალკე კომანდებსა და ბატალიონებში, საბჭოს ხელახალი არჩევნების საგარნიზონო კომისიის ჩვენებით).

გ) საბჭოთა მოსამსახურენი, წვრილ მრეწველობის მუშები, შინა მოსამსახურეები და სხვები სათანადო პროფკავშირების მიერ გამართულ კრებებზე.

დ) მუშათა ოჯახები—რაიონებში გამართულ საზოგადო კრებებზე.

ე) უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები სტუდენტების საზოგადო კრებებზე.

ვ) შინამრეწველები, ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ მოწვეულ საზოგადო კრებებზე.

ზ) უმუშევრები—სათანადო პროფ-კავშირების მიერ მოწვეულ კრებებზე.

თ) ინვალიდები—ინვალიდების საზოგადო კრებებზე.

5. არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად არსდება ცენტრალური, სარაიონო, და საგარნიზონო საარჩევნო კომისიები მუშათ რაიონებისა და წითელი არმიისათვის და აგრეთვე ტფილისის მაზრის საბჭოთა ხელახალი არჩევის ცენტრალური და სარაიონო კომისიები.

6. ცენტრალური საარჩევნო კომისია შესდგება 9 პირისაგან: 1 კომპარტიისაგან, 2 ტფილისის საბჭოსაგან, 1 პროფკავშირთა საბჭოსაგან, 2 არმიისაგან, 1 მემარცხენე ფედერალისტებისაგან 1 ახალგაზრდობის კომკავშირისაგან, 1 სამაზრო საბჭოსაგან.

7. დანარჩენი საარჩევნო კომისიები არსდებიან.

ა) რაიონული სამი პირისაგან.

ბ) საგარნიზონო ხუთი პირისაგან.

გ) სამაზრო ხუთი პირისაგან.

**შენიშვნა:** ქალაქი ტფილისი იყოფა 4 საარჩევნო უბნად, ტფილისის მაზრა იყოფა რაიონებად საარჩევნო კომისიის ჩვენებით.

8. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობს ყველა არჩევნებს, უშვებს ინსტრუქციებს, ნიშნავს არჩევნების ვადას და დღეს, ამტკიცებს ან უარჰყოფს არჩევნების წარმოებას, იხილავს განცხადებებს და პროტესტებს, იძლევა დროებით მანდატებს, ადგენს საარჩევნო კრებების ოქმების ფორმებს და არჩევნების დამთავრებისას აწვდის ყველა მასალებს საბჭოს მიერ არჩეულ სამანდატო კომისიას.

9. რაიონული, საგარნიზონო, სამაზრო და სხვ. საარჩევნო კომისიები ხელმძღვანელობას უწევენ არჩევნებს ადგილობრივ, წინასწარ არკვევენ თვითეულ წარმოებაში, სამხედრო ნაწილში, ამომრჩევლების რაოდენობას, ხელმძღვანელობენ მუშების, მოსამსახურეების და სხვ. გაერთიანებას შეერთებულ არჩევნებისათვის, ადგენენ საარჩევნო კრებების ოქმებს და თავიანთი დასკვნებით გზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

10. დეპუტატების არჩევნები ხდება საარჩევნო კომისიის ან მისი რწმუნებულის დასწრებით.

11. დეპუტატების არჩევნები ხდება საჯარო საზოგადო კრებებზე—ხელის უბრალო აწევით.

12. არჩევნების შედეგების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საარჩევნო კომისიის წევრი ან მისი რწმუნებული და საარჩევნო კრების პრეზიდიუმი.

13. არჩევნების დროს მუშაობა წარმოებაში წყდება იმ შემთხვევის გარდა, თუ მუშაობის შეჩერება ტეხნიკურ მოსაზრებით შეუძლებელია.

14. საარჩევნო კრება არის კანონიერი და სრულუფლებიანი, თუ მასზე მონაწილეობას ღებულობს ამომრჩევლების საერთო რაოდენობის არა ნაკლები ორი მესამედისა.

15. თუ დაწესებული ქვორუმი არ შესდგება, მოწვეული იქნება განმეორებითი კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავათ.

16. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები: 1. ივანოვ-კავკაზსკი—თავმჯდომარე, 2. ყურულაშვილი. 3. რუბენი, 4. ბურჯანაძე, 5. კაჩელინი, 6. მარკაროვი, 7. ჯანელიძე, 8. ადამიანი, 9, ამაღლობელი.

17. სამაზრო საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგები: 1, მესხი, 2. ადამიძე, 3, ფიალკოვსკი, 4. ჯაფარიძე, 5. ადამია.

18. საგარნიზონო საარჩევნო კომისიაში შედიან ამხანაგ. 1. მარკაროვი, 2. კაჩელინი, 3. ბაიკოვი, 5. სერებრიაკოვი, 5. ბაბაიანი.

19. პირველ რაიონულ საარჩევნო კომისიაში შედიან ამხ. ამხ,: 1. მორჩილაძე—თავმჯდომარე, 2. ქავთარაძე. 3. გოლდბაუმი.

20. მეორე რაიონულ საარჩევნო კომისიაში შედიან ამხ. ამხ.: 1. მასხულია—თავმჯდომარე, 2. ბოჭორიშვილი, 3. აკოპოვი.

21. მესამე რაიონულ საარჩევნო კომისიაში შედიან ამხ. ამხ.: 1. ვართაპეტოვი—თავმჯდომარე, 2. ალი-ტაგი ზადე, 3. ხვიჩია.

22. მეოთხე რაიონულ საარჩევნო კომისიაში შედიან ამხ. ამხ.: 1. ბურჯანაძე—თავმჯდომარე, 2. გეიდენი, 3. რუბენი.

ცენტრალური საარჩევნო კომისია დროებით მოთავსებულია ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის შენობაში.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე: **ლ. დუმბაძე.**

სამაზრო საბჭოს თავმჯდომარე: **ლ. სუხიშვილი.**



# ა. სუმბათაშვილი იუჟინი

**(მისი 45 წლის იუბილეს გამო).**

მოჩალოვის შემდეგ რუსულ სცენაზე ისეთი პოპულიარობით და პატივისცემით არავინ იხსენიება — როგორც ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი.

ალ. იუჟინი და რუსული თეატრი! შეზრდილნი არიან ერთად და, როგორც სჩეპკინმა შექმნა მთელი ეპოქა ისე იუჟინმა შექმნა მთელი სკოლა. მან გამოიყვანა სცენაზე მთელი რიგი დიდი ბრწყინვალე პლეადა მსახიობთა. მან თითქმის ერთად ერთმა აამაღლა პრესტიჟი მსახიობის და გაამაგრა კედლები რუსულ თეატრის.

ორმოცდა ხუთი წელია, რაც იგი ემსახურება რუსულ თეატრს და მუშაობს მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე. აქ ამ თეატრში გადაიშალა მისი მრავალმხრივი ტალანტი: არტისტის, დრამატურგის, კრიტიკოსის...

ალ. იუჟინი გახდა ცენტრალი ფიგურა სჩეპკინის სახლის; იგი გარდაიქცა მთელი თეატრის მამოძრავებელ ძალად, ისეთ ფოკუსად, სადაც თეატრის ყოველი ფუნქცია ერთად იკრიფებოდა. ვინ იცის ეს გოლიათი, რომ არ ყოფილიყო ამ რევოლიუციის ქარიშხალის დროს, რუსული თეატრის საქმე როგორ იქნებოდა.

ალ. იუჟინის სიტყვა ეს თეატრალური კანონი იყო ყველა მსახიობის და მის სახელს ხომ კარგად იცნობენ ყველანი: რუსეთიც და უცხოეთიც.

ვისაც უნახავს ალ. იუჟინი და ვისაც ესმის სასცენო ხელოვნება, ვინც იცნობს, რა არის ესთეტიური შემეცნება—ის უსათუოდ აღიარებს ალ. იუჟინის დიდ არტისტიულობას. ალ. იუჟინი ხელოვანია ნამდვილი. იცის ხიტყვის მკვეთრი ასამაშება და პლასტიური მოძრავეთა. შესწავლილი აქვს ყოველი კონტური თავის ფეხის გადადგმის და დამუშავებული მთელი რიგი კლასიკურ როლების.

იუჟინი—წმინდა კლასიკია და კლასიკური სიმძაფრით, სიმარტივით გვიხსნის თავის ყოველ ხაზს.

დიდი ერუდიცია—სასცენო ხელოვნების—ესთეტიურ-ფილოსოფიურ თვალსაზრისით გამაგრებული.

დიდი ტეხნიკა—სასცენო ხელოვნების სიმეტრიით და პროპორციით გაზომილი, შესრულებული. შეიძლება აქ სჭარბობდეს ხშირად მისი გონება ვიდრე ხეშთაგონება. მაგრამ მსახიობი გამართლდება დიდი სასცენო კულტურით. მას აქვს დიდი ალღო და არტისტიული ინსტიქტი.

ალ. იუჟინი ძველი სკოლის მსახიობია მსახიობი მუნე-სიულის, ტომაზო სილვინის, ბარნაის სკოლის. ეს უფრო ამაღლებს მის სახელს. იმიტომ, რომ დღეს მსახიობის—ხელოვანის დაქვეითების ხანაში ვცხოვრობთ.

ალ. იუჟინი მარტო მსახიობი არა ყოფილა რუსეთის სცენისთვის, მან შექმნა მთელი რეპერტუარი თავისი პიესებით

3 იანვარს, სახელ. ოპერის თეატრში ნიშნად ღრმა პატივისცემისა ა. იუჟინს გაუმართეს იუბილიარს წარმოდგენა. სახელმწიფო აკადემიურ ოპერის და დრამის სახელით მიულოცა ალ. წუწუნავამ, რომელმაც გამოაცხადა, რომ ორივე აკადემიური თეატრი ირჩევს მას საპატიო არტისტად და ორივე თეატრის ფოიეს დაამშვენებენ მისი სურათებით. მიულოცეს აგრეთვე სხვა დაწესებულებებმა. მიართვეს დაფნის გვირგვინები.

**ვახტანგ გარრიკი**

# პარიზის თათბირი

**მანოვერის 4 იანვ.** მას შემდეგ როდესაც პუანკარემ ჰკითხა თათბირს, რომ გერმანიის სტალინ-სენ-ბრიჯიამ ბერგმანმა მიმართა მან განცხადებით—მოუსმინონ კონფერენციის გახსნამდე, მოსმენილ იქნა საფრანგეთის პროექტი, რის შემდეგ ბონარ ლოუმ წარმოადგინა ინგლისის და დელა-ტორეტამ იტალიის პროექტი. სხდომა ორნახევ. საათი გაგრძელდა, რის შემდეგ საკითხის განხილვა გადადებულ იქნა 4 იანვრის 3 საათამდე იმ მიზნით, რომ ცალკე დელეგაციებს განეხილათ წარდგენილი პროექტები.

— საფრანგეთის წარმომადგენლების მიერ ინგლისის გეგმის განხილვის დროს, პუანკარემ ხაზგასმით აღნიშნა. რომ ინგლისი საკონტრიბუციო კომისიის ნაცვლად რაღაც ახალ კომიტეტის დაარსების წინადადებას იძლევა და ამ კომიტეტის თავმჯდომარედ განზრახვა აქვს დანიშნოს გერმანიის ფინანსთა მინისტრი. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ინგლისის პროექტი სასოწარკვეთილებაში აგდებს საფრანგეთს.

**პარიზის თათბირის გამო**

**ლონდონი 5 იანვ.** იუწყებიან პარიზის თათბირის მუშაობის დაწვრილებით ცნობების შესახებ: პუანკარემ დიდი უკმაყოფილება გამოსთქვა ინგლისის გეგმების გამო, მაგრამ სათანადო აღნიშნა ბრიტანეთის წინადადებების გულწრფელობა.

დაწვრილებითი პასუხის ჩაბარების წინ, ბონარლოუმ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ის მზად არის იცნოს ბელგიის პრიორიტეტი და დაუმატა, რომ საფრანგეთმა უარი სთქვა ზოგიერთ გარანტიებზე; რომელნიც მიუღებელნი იყვნენ ბრიტანეთის საზოგადოებრივ აზრისათვის. შემდეგ ბონარლოუმ სთქვა: „მე რომ მწამდეს, რომ საფრანგეთის გეგმა იძლევა ფულებს, მე მივიღებდი ამ გეგმას დაუყოვნებლივ, ვინაიდან ყველანი ცდილობენ რაც შეიძლება დაჩქარებით და კარგად გადასწყვიტონ საკითხი". ბონარლოუ ფიქრობს, რომ თუ ბრიტანეთის გეგმა არღვევს ვერსალის ხელშეკრულებას, ამავე სჩადის საფრანგეთის პროექტიც. ბონარ-ლოუს სიტყვით, პუანკარეს განცხადება იმის შესახებ, რომ თუ მარატორიუმი 4 წლით იქნა დაწესებული, მაშინ ამ ვადის გასვლამდე არაფრის მიღება არ შეიძლება გერმანიისაგან—სამართლეს არის მოკლებული, ვინაიდან შემდეგ შესაძლებელია მარატორიუმის შემცირება სამი წლით, თუ გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა ამას დაუშვებს ამის გარდა, თუ გერმანიამ რომელიმე მომენტში უარი სთქვა სრეპარაციო კომისიის მიერ დაწესებულ ზომებზე, ინგლისი მზად არის მიმართოს „სანქციის" რეჟიმს. შემდეგ, ბონარ-ლოუს

# გასული წელი

2.

„დღე თავს ნურავინ ნუ მოიტყუილებს; რევოლიუცია ჯერ კიდევ არ **დასრულებულა.** უაზროდ დაიწყო იგი თუ არა, დამარცხება მიიღო მან თუ პირიქით, იძლევა იმედს, მსოფლიო რევოლიუციის შესავალია იგი თუ უბრალო აჯანყება ბრბოსი ერთ ქვეყანაში,—ყოველ შემთხვევაში კრიზისი კვლავ გრძელდება და როგორც ავადმყოფი, ილებს ტიპიური მიმდინარეობის მეტს თუ ნაკლებ ხარისხს და არ ითმენს შიგ ჩარევას, რომელიც მას დაამსხვრევდა".

**ოს. შპენგლერი.**

**(Пруссачество и социализм. გვ. 18.)**

რევოლიუციის გამარჯვებაზედ ლაპარაკი დღეს თითქოს ბოლშევიკების მონოპოლიად არის ჩათვლილი. ამით აიხსნება მათი აზროვნების ბოლშევიზაციაზედ ლაპარაკი, ვინც რევოლიუციის ორიენტაციაზედ აშენებს თავის პოლიტიკას. რა თქმა უნდა საკითხის ასე დასმა დილეტანტურია.

ჩვენ მიერ ეპიგრაფად აღებული წინადადება ოს. შპენგლერისა ცხადყოფს, რომ მარტო „ფანატიურად" გაწყობილ ბოლშევიკურ ცნობიერებაში არ ისახება ევროპის კაპიტალიზმის დეკადანსის კონტურები.

ოს. შპენგლერი, ევროპაში დღეს მეტად პოპულიარული და ავტორიტეტული მოაზროვნეა, რომელიც შორს სდგას ბოლშევიკურ აზროვნებიდან, მაგრამ მაინც დასავლეთის დაღუპვა არის მისი ნააზრევის დედა ბოძი.

არა მარტო შპენგლერის აკადემიურ კაბინეტში იჭრება ევროპის დაცემის სილუეტები, არამედ იგი ლოიდ ჯორჯის პოლიტიკურ კაბინეტშიაც ნათლად იყო წარმომდგარი. დღეს უკვე ცნობილი გახდა იტალეთის პრემიერის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტით, რომ თვით ლოიდ ჯორჯი შიშობდა, „მთელ ევროპას ბოლშევიკური ალი მოედებაო", თუ კი გერმანეთში გაიმარჯვებდა სპარტაკი.

როგორც მკითხველს მოეხსენება, გასული წელი მსოფლიო ძალთა შორის იყო ძალთა მოკრების და ეკონომიური ხასიათის გამოყენების ცდის წელი.

ვაშინგტონის კონფერენცია ცდა იყო ბურჟუაზიული ფრონტის გაერთიანებისა მუშათა ფრონტის წინააღმდეგ, მაგრამ ვაშინგტონის კონფერენცია ამავე დროს ცდა იყო ამერიკისა ევროპის კაპიტულაციისათვის.

როდესაც ვაშინგტონის კონფერენციის პროგრამა გამოქვეყნდა, ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ კონფერენციის საკითხები თავის თავად ჰგულისხმობდა კონფერენციის ფიასკოს. ჩვენ ვამბობდით, რომ განიარაღების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია კაპიტალიზმის თანამედროვე განვითარების ეტაპში, ამავე დროს ხაზს ვუსვამდით იმ გარემოებას, რომ განიარაღებას მხარს დაუჭერდა ის ქვეყანა, რომელიც ეკონომიურად მსოფლიოს დაპყრობისათვის ატარებს საკმაო რესურსებს და რომელსაც წარმოადგენს ამერიკა.

ჩვენ არ გვინდა მკითხველის ყურადღება მოვჭანცოთ ამონაწერებით, თორემ შევძლებდით სიტყვა-სიტყვით დაგვემტკიცებინა, თუ რა სწორი გამოდგა ჩვენი პროგნოზი.

ვაშინგტონში მართლაც რომ განიარაღების მაგივრად ყველამ შეიარაღების პროექტები წამოაყენა თავისთვის, ხოლო მოწინააღმდეგეთა განიარაღებას ყველა მხარს უჭერდა: როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკის წარმომადგენელმა წამოაყენა განიარაღების პროექტი. მკითხველმა უკვე იცის, თუ როგორ გადაწყვიტა ეს საკითხი ვაშინგტონის კონფერენციამ. რა თქმა უნდა განიარაღების საკითხი უფრო შირმა იყო, ვიდრე რეალური ნაბიჯების გადადგმის სურვილი. უმთავრესი საკითხი კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობის საკითხი იყო. ვაშინგტონმა თავის დასასრულს „ოთხთა კავშირის" წინაშე დაგვაყენა, რამაც მეტად შეაშფოთა საზოგადოებრივი აზროვნება. ბევრს ეგონა, რომ შეიქმნა უდიდესი კოალიცია ბურჟუაზიულ სამყაროს და ზღვარი დაედო რევოლიუციონური ქვეყნების „თავხედობას". ჩვენ თავის დროზედ დეტალურად შევაფასეთ „ოთხთა კავშირის" მნიშვნელობა, რომლის შესახებ ვწერდით შემდეგს: „არსებითად ასეთი „შეთანხმება" ვერაფერს ვერ სცვლის... იგი მხოლოდ „ნახევი ქაღალდია". (იხ. „ტრიბუნა" № 117.) და ეს სწორი შეფასება იყო, ვაშინგტონში შეკრული „ოთხთა კავშირი", რომელშიაც შედიოდა ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი და იაპონია, პოლიტიკურად უაზრო და უმიზნოდ იქცა..

ვაშინგტონის კონფერენციამ ნათელი გახადა ევროპისათვის, რომ მას არ შეუძლია საერთო ენის გამონახვა იმპერიალისტურ „კოლონიასთან" ამერიკასთან, რომელიც რამდენიმე ათეული წლებია, რაც ინგლისის ახალშენს წარმოადგენდა.

ომმა დასცა ევროპის მეურნეობა, ხოლო ააყვავა ამერიკის მეურნეობა. ერთი ავტორის თქმით, ამერიკის მეურნეობის განვითარება ზარბაზნიდან გასროლილ ტყვიის სისწრაფით... მიმდინარეობს... დღეს ეს ქვეყანა მეტად დიდ მიზნებს ისახავს და ანხორციელებს კიდეც. მისთვის საჭირო იყო გერმანეთის დაცემა, მან ეს შესძლო. შემდეგ ინგლისის კონკურენტად საფრანგეთი და რუსეთი გაამაგრა და საწინააღმდეგო ძალთა დაპირისპირებით შეეცადა ამ ძალთა დასუსტებას.

ცხადია, თუ ევროპას სურს თავის კონტინენტზე ჰეგემონობის შენარჩუნება იგი იძულებული გახდება ევროპიულ ძალებთან ურთიერთობის გამტკიცებისა, ეს დებულება ცხადყო ვაშინგტონმა და ევროპის დიპლომატებმა სწრაფად მოაშურეს კანას, რომ შეემზადებიათ ნიადაგი ევროპიულ კონფერენციისათვის. იმ კონფერენციაზედ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა ევროპის ქვეყნებმა. ეს ნაბიჯი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იძულებული გახდენ დამარცხებული გერმანეთი და რუსეთის „კრემლის ყაჩაღები" მიეწვიათ გენუაში.

ეს ფაქტი უკვე რევიზიაა არსებითად ვერსალის ხელშეკრულების, მაგრამ რევიზია არა პირდაპირი და აშკარა, არამედ დიპლომატიური და ფარული.

გენუას კონფერენციამ დიდი სენსაცია გამოიწვია მსოფლიო მაშტაბით. და ზოგ ჩვენ პოლიტიკოსებს ხომ სიზმარადაც გადაექცა გენუას კონფერენციის იმედები.

ჩვენ იმ თავითვე აღვნიშნეთ, რომ ეს კონფერენცია იყო შედეგი რეაქცია-რევოლიუციის კომპრომისისა, რომ ეს კონფერენცია დათმობა იყო ანტიპოდ ძალების შორის და ახალ ბრძოლის მეთოდებით იმართებოდა ჭიდილი მათ შორის. ცხადია, კომპრომისს ქონდა თავისი საზღვარი და ეს საზღვარი გარდუვალ ბარიერად აღიმართა კონფერენციის მსვლელობის პროცესში. რევოლიუციონურმა ძალამ არ დათმო რევოლიუციის მონაპოვარი ხოლო რეაქციონურ ძალთა შორის თავი იჩინა არსებულმა წინააღმდეგობამ.

ამიტომ გენუამაც ვერ მისცა ვერაფერი ევროპის აღდგენის გეგმას. ხოლო საბჭოთა ქვეყნებმა რაპალოს ხელშეკრულება მაინც მიიღო.

რუსეთის აღორძინების პირობებიც უნუგეშო სურათს წარმოადგენდა, მაგრამ ასეულზე მეტი მილიონი ხალხი სასოფლო-მეურნეობის ქვეყანაში, სადაც მრეწველობასაც უჭირავს უკვე საკმაო სიმაგრენი, არ შეიძლებოდა მსხვერპლი გამხდარიყო მხოლოდ კრედიტების უქონლობის, ეს ასეც მოხდა. საბჭოთა ქვეყნებმა სამეურნეო ფრონტზედ მიაღწიეს მთელ რიგ გამარჯვებებს. დაძლეულ იქნა სიმშილობის საშიშროება. მოსავლის სიდიდემ ხელი შეუწყო წარმოების აღორძინებას. დღეს უკვე მთელი რიგი მასალებით შეიძლება იმ დებულების წამოყენება, რომ საბჭოთა ქვეყნები არ დაეცა უცხო კაპიტალის დახმარების გარეშე და ნელი ტემპით ცხოვრება მაინც აღორძინებისაკენ მიდის.

როგორც ვაშინგტონი და გენუა, ისე ლონდონის კონფერენცია სრული დამარცხებით დასრულდა. ბურჟუაზიამ ვერ შესძლო მთლიანი ფრონტის შექმნა საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ. ეს ფრონტი ანარეკლია კაპიტალიზმის იმანენტური თვისების, რომელიც ანტაგონიზმს ქმნის არა მარტო სახელმწიფოთა შიგნით, არამედ სახელმწიფოთა შორისაც.

მეორე მხრით შეუძლებელი გახდა მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა. ინტერნაციონალების კონგრესმა ვერაფერი მისცა პროლეტარიატის დაქსაქსულ რიგებს. 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალები რეფორმიზმის ტაქტიკით ობიექტიურად რეაქციის ბურჯად იქცა და რევოლიუციონური ფრონტი კაპიტალის თავდასხმის წინააღმდეგ არ იქმნა მათ მიერ მიღებული.

ასეთ პირობებში პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირებამ მიიღო განსაკუთრებული ხასიათი. რევოლიუციამ ვერ შესძლო რეაქციის დამხობა, რეაქციამ ვერ მოახდინა რევოლიუციის კაპიტულიაცია. ორი რადიკალურად განწყობილი ძალა პარალელურად არსებობს.

ასეთ პირობებში ევროპის კონტინენტზედ თავი იჩინა რეაქციის გაძლიერებამ. ბურჟუაზიის დათმობამ მიაღწია უკიდურეს წერტილს. მეტი რეფორმები მას არ შეუძლია მუშათა საკითხის სფეროში. კოლონიების ხარჯზედ შეუძლებელი ხდება მეტროპოლიითა აღორძინება. კოლონიების მრეწველობა უკვე მკვიდრ ფეხზედ სდგას. არ არსებობს ახალი კონტინენტი საკოლონიო პოლიტიკისათვის. მსოფლიო უკვე გადაყოფილია კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მაშასადამე ბურჟუაზიისათვის რჩება პირდაპირი ბრძოლა. იგი იძულებულია ნაციონალური წარმოება აღადგინოს მუშათა კონტიგენტის ექსპლოატაციით,

აზრით შეუძლებელია გერმანიის განთავისუფლება ვალდებულებებისაგან მორატორიუმის დროის განმავლობაში.

საკითხს, ვინ უნდა იყოს საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე გერმანელი, თუ ვინმე სხვა, არა აქვს მნიშვნელობა. ინგლისს ამერიკის აუარებელი ვალები მართებს და მას შეეძლო მოეთხოვა მაქსიმუმი, რის მიცემაც გერმანიას შეეძლო, მაგრამ ის გაცილებით ნაკლებს ილებს. იმაზე, რაც უნდა გადაუხადოს ამერიკას. თუმცა პუანკარე გერმანიისაგან დიდ თანხების მისაღებად ერთად ერთ გზად სთვლის გერმანიისათვის კრედიტის აღდგენას, მაგრამ, ბონარ ლოუს აზრით, საფრანგეთის გეგმა შეუძლებლად ქმნის ამ აღდგენას. საფრანგეთის პროექტში ნაგულისხმევი საფინანსო საკონტროლო კომისია, აღჭურვილი გერმანიის ფინანსების მართველობის და კანტროლის უფლებებით და აგრეთვე ვეტოს უფლებით გერმანიის ფინანსიურ კანონმდებლობაში ძალიან საშიშარი საქმეა. გადასახადთა სისტემის ხელმძღვანელობის თავის თავზე აღება ნიშნავს მიიღო აგრეთვე გერმანიის აღდგენისათვის პასუხისმგებლობა. მაგრამ საუკეთესოა ეს თვითონ მას დააკისრო ინგლისში ფიქრობენ, რომ შეუძლებელია გერმანიის კრედიტის აღდგენა, სანამ არ იქნება ნამდვილად განსაზღვრული გერმანიის კონტრიბუციის რაოდენობა

**პარიზის თათბირი.**

**ბერლინი.** 5 იანვარი. 4 იანვარს სხდომის დასაწყისში იტალიის დელეგატმა დელლა ტორარტმა გაილაშქრა ინგლისის გეგმის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ ეს გეგმა ეწინააღმდეგება იტალიის ინტერესებს და ხაზი გაუსვა, რომ თუ იტალია, რომელიც არაფერს არ იღებს არც ავსტრიიდან და არც ჰუნგრეთიდან, არაფერს არ მიიღებს აგრეთვე გერმანიისაგანაც, ის საბოლოოდ მოტყუებული იქნება.

ამის შემდეგ პუანკარემ ბონარ ლოუს მოხსენებას გაუკეთა რამოდენიმე შენიშვნა. ბრიტანიის დელეგაციამ თათბირს გადასცა ვრცელი ნოტა, რომელიც დელეგაციებმა სხდომის შეწყვეტის დროს განიხილეს.

რადგან ბონარ ლოუმ უსაყვედურა საფრანგეთის მთავრობას, რომ საფრანგეთის მიერ წამოყენებულ გეგმაში არ არის განსაზღვრული გერმანიის ვალების საერთო ჯამი, საფრანგეთის მთავრობამ შენიშნა, რომ გერმანიის ვალების საერთო ჯამის განსაზღვრა საკონსტიტუციო კომისიის კომპეტენციას შეადგენს. საფრანგეთის მთავრობამ მიუთითა მხოლოდ იმაზე, რომ ის მზად არის გერმანიის გადასახადების ნაწილი გამოიყენოს სამხედრო ვალების გადახდისათვის.

— 4 იანვრის სხდომა დამთავრდა პუანკარეს და ბონარ-ლოუს განცხადებებით, რომლიდგანაც გამოირკვა ორივე თვალსაზრისის წინააღმდეგობა. მაგრამ გამოიხატა ორივე მხარის ურთიერთი მეგობრული გრძნობა.

**პარიზი.** 5 იან. ბერლინის ოფიციალური ცნობით გერმანია დაიმედებულია რომ პარიზის თათბირი გადასწყვეტს საკონტრიბუციო პრობლემას. იმ შემთხვევაში, თუ უარყოფილ იქნება ინგლისის გეგმა, გერმანია უარს ამბობს თათბირისათვის თავისი წინადადებების წარდგენაზე, არ არისრა დარწმუნებული იმაში, რომ ის მიღებული იქმნება მხედველობაში.

— 5 იანვრის ფრანგული გაზეთები ვრცლად ეხებიან თათბირის სხდომას და იწონებენ პუანკარეს პოზიციას: რახან, ამბობენ გაზეთები, გერმანიისათვის დადგა კრიტიკული პოლიტიკური მომენტი — მივიღოთ ის აშკარად და უმტკივნეულოდ, როგორც უნდა მოიქცეს ყველა, ვისაც აქვს თავისი თავის იმედი, სიბრძნე და ძალა.

**ლონდონი** 5 იანვარი პარიზის თათბირი დამთავრდა 4 იანვარს დღის 5 საათზე. აღნიშნულია, რომ შეუძლებელია სხვა და სხვა თვალსაზრისის შეთანხმება.

თათბირის დატოვების წინ ბონარ-ლოუმ აღნიშნა ინგლისის მხურვალე მეგობრობა საფრანგეთისადმი, პუანკარემ ასევე უპასუხა ინგლისის ხალხის მიმართ.

ბრიტანიის დელეგაცია პარიზიდან გაემგზავრება 5 იანვარს.

თათბირის დამთავრებამდე გაიმართა ორი სხდომა.

პირველ სხდომაზე გამოქვეყნდა იტალიის წინადადებები და სხდომა გადაიდო ამ წინადადების განსახილველად ბონარ ლოუმ უპასუხა ფრანგების კრიტიკას ინგლისის გეგმის შესახებ. ამ პასუხში ბონარ ლოუმ აღნიშნა, რომ ინგლისის გეგმა სრულიადაც არ არღვევს ვერსალის ხელშეკრულებას, რომელიც ისეა შემუშავებული, რომ შესაძლებელია მასში ცვლილებების შეტანა, თუ ამას გარემოება მოითხოვს. ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ საფრანგეთის გეგმაც აგრეთვე არ გამომდინარეობს ვერსალის ხელშეკრულებიდან, რადგან ის წინადადებას იძლევა დაუვალოს გარანტიების კომისიას აიღოს თავის ხელში გერმანიის გადასახადების გადიდებას. მოკავშირეების ასეთი ჩარევა უარყოფილ უნდა იქნეს, როგორც იძულებითი ზომა, რომლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

# ახლო აღმოსავლეთი

**საზავო ხელშეკრულების პროექტი**

**მოსკოვი, 5 იანვ.** მდგომარეობა ლოზანას კონფერენციაზე, კერზონის არ ყოფნის გამო, მეტად გამოურკვეველია. გავრცელებულ ხმების თანახმად 4 იანვარს მოკავშირეებს უნდა წარედგინათ ოსმალეთისათვის საზავო ხელშეკრულების პროექტი და მიეცათ ერთი კვირის ვადა პასუხის გასაცემად.

**ეროვნული ხელშეკრულება**

**მოსკოვი, 5 იანვ.** ანგორის მინისტრთა კავშირმა წინადადება მისცა ისმეტფაშას, დაჟინებით მოითხოვს ეროვნული ხელშეკრულების პირობების შესრულება და აღჭურვა უფლებით მოაწეროს ხელი სეპარატიულ ზავზე იმ სახელმწიფოებთან, რომელნიც დაეთანხმებიან აღიარონ ეროვნული ხელშეკრულება.

**სამხედრო მოქმედებანი**

**მოსკოვი, 5 იანვ.** ათინიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის ჯარები მიემართებიან მოსულიდან.

**მოსულის საკითხი**

**მოსკოვი, 5 იანვ.** თანდათან ირკვევა, რომ მოსულის საკითხი არ იქნება მოწესრიგებული ლოზანაში. ადვილი შესაძლებელია რომ მოსული დაუბრუნდება ოსმალეთს ზავის ჩამოგდების შემდეგ, სამაგიეროდ იმისა, რომ ოსმალები დაამტკიცებენ ინგლისის ნავთის კონცესიებს.

# გერმანია და ანტანტა.

**სარეპარაციო საკითხი.**

**მოსკოვი.** 5 იანვარი. ინგლისის მიერ შემუშავებულმა სარეპარაციო პროექტმა პარიზში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. საფრანგეთის და ბელგიის მთავრობის წრეებს იმედი გაუცრუვდათ.

პუანკარემ წარადგინა თავისი სარეპარაციო გეგმა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: გერმანიას ეძლევა ორი წლის ვადა გადასახადების შესატანად. იმ პირობით თუ დარჩება სარეპარაციო ვალის ძველი რაოდენობა თუ გერმანიის სახელმწიფო ტყეებზე დაწესებული იქნება მოკავშირეთა კანტროლი და ბაქები. იმ შემთხვევაში თუ გერმანია უარს იტყვის ასეთ კონტროლზე, მოკავშირეები დაიკავებენ ესსენს და რურის ოლქის ნაწილს.

პუანკარემ განაცხადა: რომ საფრანგეთი არ გადაუხდის ინგლისს თავის ვალებს, სანამ გერმანია არ აუანაზღაურებს მას ხარჯებს განადგურებულ ოლქების აღსადგენად.

— საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ უარყო ინგლისის სარეპარაციო გეგმა. პარიზის კონფერენციის წრეებში გამოსთქვამენ ეჭვს შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობაში, ინგლისის და საფრანგეთის სარეპარაციო პროექტებს შორის სრული წინააღმდეგობის გამო.

— საფრანგეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისის სარეპარაციო პროექტი არღვევს ვერსალის ხელშეკრულების ძირითად პირობებს.

— პუანკარემ განუცხადა ჟურნალისტებს: „თუ მოკავშირეები ერთხმად არ აიძულებენ გერმანიას შეასრულოს სარეპარაციო ვალდებულებანი, მაშინ საფრანგეთის მიერ გერმანიის ზოგიერთ ოლქების ოკუპაცია აუცილებელი იქნება: თუ გერმანია არ შეასრულებს საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნილებას, მაშინ უკანასკნელი შეუდგება ესსენის, ბოხუმის და მთელ რურის ოლქის ოკუპაციას, ფრანგების ... პროგრამის თანახმად.

საფრანგეთის ... საუბრის დროს, ბონარ-ლოუმ განაცხადა: „მართალი არ არის თითქოს ინგლისი არ იყოს დაინტერესებული რეპარაციებით. პირიქით მას ძალიან ესაჭიროება ეს რეპარაციები. ინგლისიში შემოღებულია დიდი გადასახადები, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს მრეწველობას და იწვევს უმუშევრობას. თუ მსოფლიო ვაჭრობის პირობები არ გაუმჯობესდა მაშინ ინგლისი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება“.

# უცხოეთი

**უცხოეთის პრესა.**

**ბონარ-ლოუს აუარებელ შეკითხვებით მიმართავენ.**

**ლონდონი.** როგორც ინგლისის გაზეთები გადმოგვცემენ დეპუტატმა კენვორსიმ თემთა პალატაში შემდეგი შეკითხვით მიმართა მთავრობას: იცის თუ არა ბონარ-ლოუმ, რომ საფრანგეთი აპირებს რურის ოლქის ოკუპაციას და რეინის და დანარჩენ დაკავებულ ადგილებში საფრანგეთის ადმინისტრაციის დაწესებას. კონვენტი შეეკითხა აგრეთვე — ქონდა თუ არა ამის თაობაზე ხაფრანგეთის მთავრობას ინგლისის მთავრობასთან. ბონარ-ლოუმ ორივე კითხვაზე უარყოფით უპასუხა.

იმავე სხდომაზე ამერიკის მიმართეს მეორე შეკითხვით იმ ჟამად საბერძნეთში მყოფ ბრიტანეთის ხაზლვაო მისიის გაწვევის შესახებ. ბონარ-ლოუმ უპასუხა, რომ მთავრობა იხილავს საკითხს ამ ჟამად დროულია თუ არა მისიის გაწვევა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. ბრიტანეთის საკონსულო დაწესებულებანი საბერძნეთში განაგრძობენ თავიანთი ფუნქციების ასრულებას.

**ევროპის კრედიტორები.**

**ნიუ-იორკი.** „ჩიკაგო ტრიბუნა“ იუწყება, რომ ფილიპსბურგში გამართულმა ამერიკის ბანკირების კონგრესმა გამოიტანა დადგენილება გარდა ინგლისისა ყველა მოკავშირეთა ვალების გაუქმების შესახებ. ნაციონალურ ბანკის წარმომადგენელის ანდერსონის მიერ წარდგენილი პროექტი ვალების გაუქმებასთან ერთად გულისხმობს შემდეგ რეფორმებს 1) ხაზიუჯეტო რეფორმას, რომელიც მდგომარეობს გადასახადების გადიდებაში; 2) ქაღალდის ვალიუტის ოქროზე დაფუძნება; მეკონომიურ საფუძველზე სარეპარაციო საკითხის მოწესრიგება გერმანიის ვალების შემცირების, 3-დან 5 წლამდე მორატორიუმის დაწესების და გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის მიზნით.

**ცეცხლის წაკიდება უნგრეთის რკინის გზაზე.**

**ბუდაპეშტი.** „რიჩ პოსპოლიტა“ იუწყება, რომ ბუდაპეშტში სახელმწიფო რკინის გზების სახელოსნოებში გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც გაანადგურა 6 შენობა, 46 ახალ დიდი და სხვა მასალა. ზარალი აუარებელია. გამოირკვა, რომ ცეცხლი განზრახ არის გაჩენილი.

**კაპიტალის შემოტევა პოლონეთში**

**კრაკოვი.** „რეჩ. პოსპოლიტა“ იუწყება, რომ ბელსკში და ბელაიში მუშების გაფიცვა დამთავრდა, გაიმართა მუშების დიდი მიტინგი, რომელმაც მოიწონა მწარმოებლების მიერ წარდგენილ პირობების მიღება. ფაქტიურად მუშებმა თავიანთი სოციალისტი წინამძღოლების წყალობით, რომელნიც აწარმოებდნენ ზომიერ ტაქტიკას ცოტას მიაღწიეს. მწარმოებლები ვალდებულნი არიან ყოველთვიურად სამუშაო ქირას მოუმატონ მხოლოდ 5-პროც.

**ფაშისტების ტერორი**

**ბერლინი.** „როტე ფანე“ იუწყება, რომ ინსბრუკში (ტიროლი) დატუსაღებულია ორი პირი, რომელთ ბრალდებათ სოციალისტ დოქტორ გრიუნერის მოკვლა. ორივე ბოროტ-მომქმედნი ეკუთვნიან „ობერლონდის“ ორგანიზაციას, რომელსაც ავსტრიაში თავისი ტერიტორიული განყოფილებები აქვს.

# ახალი ამბები

— ამიერ-კავკასიის შრ. სახ. კომ. რწ. სამმარ. საქართველოში ამით აცხადებს, რომ 7—8 იანვარი, შობის დღესასწაულის გამო, არის უქმე დღეები, რის გამო ყველა წარმოება-დაწესებულებებს როგორც კერძოს, ისე სახელმწიფოებრივებს, ევალებათ მუშაობა შესწყვიტონ იანვრის 6-ს, დღის 12 საათზე.

**პურის გაძვირებასთან ბრძოლა.** სახალხო სასურსათო კომისარის ამხ. ერქომაიშვილის თავმჯდომარეობით და ამხ. იზმაილოვის, მელქოვის და ერისთავის შემადგენლობით დაარსებულ იქნა საგანგებო კომისია, რომლის მიზანიც არის პურის გაძვირებასთან ბრძოლა.

განზრახულია შექმნილ იქმნას პურის ფონდი ბაზარზე იაფ ფასებში პურის გამოსაშვებათ. პირველ პარტიას ამ დღეებში გამოუშვებს სახალხო სასურსათო კომისარიატი. პური მიეცემა მოსახლეობას მთლიან მუშათა კოოპერატივის საშუალებით. მომავლისათვის პურის დასამზადებლად და მცხოვრებთათვის მისაწოდებლად ფულს სახალხო ბანკი გაღებს.

— **სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადებულ სახლების რაოდენობა.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობებით სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადებული სახლები უდრის 268 ამათში არ შედის ტფილისი, ბათომი, სიღნაღის მაზრა, გორის მაზრა და სამხრეთ ოსეთი.

**დახმარება ქუჩის ბავშვებს.** ბორჯომის, სურამის, ხაშურის, ფოთის და ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის მუშამოსამსახურეთა საერთო კრებებზე დაადგინეს, ქუჩის ბავშვთა დასახმარებლათ გადასდონ თითო დღის ჯამაგირი. ასეთივე დადგენილებები აქვთ მიღებული თითქმის დანარჩენ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს.

— **ელექტრო-ტეხნიკუმი.** ფ.-ტ. მუშა მოსამსახურეთა კავშირმა უკვე დაასრულა მუშაობა ელექტრო-ტეხნიკუმის მოსაწყობად, რომელიც გაიხსნება 15 იანვარს ტეხნიკუმში არის ორი კლასი, ერთი ძირითადი, ქართულის მცოდნეთათვის და პარალელური ქართულის არა მცოდნეთათვის.

— **დავალიანების საკითხი.** პრეზიდიუმმა დაადგინა, მიენდოს საფინანსო განყ. გამგეს ამხ. სმირნოვს, სახალხო ბანკში 10,105,740 მან. ვალის დაფარვის საკითხის მოგვარება და ახალი სესხის მიღებისათვის საჭირო ვალდებულებებზე ხელის მოწერა.

— **მატყლის დამზადების წესი.** ზოგიერთ საკოოპერაციო კავშირის მიერ აღძრულ შუამდგომლობათა გამო სახალხო სასურსათო კომისარიატი განმარტავს, რომ საქართველოში მატყლის დამზადების ნებართვა არავის მიეცემა იმ დრომდე, ვიდრე არ იქნება გაუქმებული სახელმწიფოებრივი მონოპოლია მატყლზე.

— **თევზის მაღაზია.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა თევზის ფასების მოწესრიგებისა და მოსახლეობისათვის თევზეულის იაფ ფასებში მიწოდების მიზნით ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე ძველ სემინარიის შენობაში თევზის მაღაზია გახსნა, რომელშიაც უკვე დაიწყო ვაჭრობა. მაღაზიის შტატი შემდგარია 11 კაცისაგან. მაღაზიის გამგედ გადმოყვანილ იქმნა ნარიძის თევზის სამრეწველოების კონტროლიორი ამხ. დავით რუხაძე.

**პირადობის მოწმობები.** იმ ანარქიის და გაუგებრობის მოსასპობათ, რომელიც შექმნილია დღეს პირადობის მოწმობათა სისწორის გარშემო — შ. ს. ს. კომისარიატმა შეიმუშავა მთლიანი და ერთსახიანი ფორმის ბინაობის წიგნაკი მთელი რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის. ხსენებული პროექტი დადგენილების განმარტებითი ბარათით წარდგენილია დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოში.

**საქართველოს რუკა.** ამ დღეებში გამოვა შ. საქ. სახ. კომისარიატის ტოპოგრაფიის მიერ შედგენილი სრულიად საქართველოს რუკა, ქართულ ენაზე. რუკის სისწორის შესამოწმებლად და მთავარ რედაქტორად მიწვეულია პროფესორი ივ. ჯავახიშვილი.

**ბავშვთა ლიტერატურა.** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციამ, საბავშვო ლიტერატურის გამოსაცემათ და თავის საშუალებათა გასაძლიერებ-

---

სამუშაო დღის გადიდება და ხელფასის შემცირება დღეს ბურჟუაზიის ბრძოლის მიზანია.

ბურჟუაზია უკვე აღარ მიმართავს პარლამენტარულ წესებს და დიქტატორული მეთოდებით ცდილობს არსებობის შენარჩუნებას. ასეთ სახეს იღებს იტალიაში აღმოცენებული ფაშიზმი, რომელიც მსოფლიო მაშტაბით ვითარდება.

იტალიის ნაციონალისტების პროგრამა ვერ განაღდდა, მიუხედავად ომში გამარჯვებისა. იტალიაში სოციალისტურმა პარტიებმა ვერ შესძლეს მუშათა კლასის ხელმძღვანელობა. ბურჟუაზიული იტალია დაცემის გზაზედ წავიდა. ვერც მსხვილმა ბურჟუაზიამ შესძლო ქვეყნის გამოყვანა ჭაობიდან და ვერც პროლეტარიატმა შესძლო ძალა-უფლების ხელში აღება.

ახალ ძალად წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები გამოდგენ ფაშისტური ორგანიზაციის სახით. ისინი ზეკლასიურ იდეალს აყენებენ, ნაციონალისტურ ლოზუნგებით გამოდიან და ცდილობენ დაიცონ, როგორც კაპიტალისტები, ისე მუშები. აქ მარხია ფაშიზმის სისუსტე. იგი ან ერთ მხარეს უნდა გადავიდეს ან მეორე მხარეს.

დღეს მას უხდება კაპიტალის სამსახური. ეს ნიშნავს მის გარიყვას მუშათა რიგებიდან.

მას ვერ უშველის სხვა ქვეყნებში ორგანიზაციების გაძლიერება.

მართალია ფაშისტური ორგანიზაციები ფეხს იკიდებს პოლონეთში, გერმანეთში, შვეციაში, ლატვიაში, ფილიანდიაში, საფრანგეთშიც უკანასკნელი ცნობით და ჩრდილოეთ ამერიკაშიაც, მაგრამ ფაშისტური მოძრაობა არ არის ნორმალური მოვლენა. მას არა აქვს მტკიცე საფუძველი. იგი ტიპიური მოვლენაა პოლიტიკური კრიზისების და კრიზისებს გადაჰყვება თან.

ფაშისტურ მოძრაობას—რეფორმისტებმა შეუმზადეს ნიადაგი, ამით რეფორმისტებმა შესძლეს არა მარტო რევოლიუციის დამარცხება, არამედ საკუთარი თავის დამარცხებაც.

მუსოლინის გამარჯვებამ იტალიაში დამარცხებაა არა მარტო სერატის და ბომბაჩის, არამედ ტურატისაც, რომელმაც „მშვიდობიანობის“ სამსახურით შავი „რევოლიუციის“ ნიადაგი გააპოხიერა:

პოლონეთშიაც მარტო კომუნისტური პარტია არ გახდა ფაშისტების დარბევის საგნად, არამედ პილსუდსკის გაზეთის რედაქციაც იქნა დარბეული. შეიდემანიც შეიძლება მოწამე გახდეს ფაშისტური ექსპერიმენტის, ის შეიდემანი, რომელსაც დიდი სამსახური მუძღვის იაპიტალის მაგნატთა სამსახურში. რეფორმისტების ადგილი არც ბარიკადის ქვეთ ადგილას არის, რომ მას ორივე მხრიდან ხვდება გასროლილი ტყვია.

როგორც ვხედავთ ევროპის ქვეყნებში პოლიტიკური რეაქცია მძვინვარებს. გერმანეთში ვირტის კაბინეტის ნაცვლად ახალ კაბინეტისა აღმოცენდა კოალიციის გარეშე მდგომი. ინგლისში ბონარ ლოუს, ან უკეთ კონსერვატიული პარტიის ფაქტიური დიქტატურაა. იტალეთში ფაშიზმი ფარფაშობს. საფრანგეთში „პუანკარე—ომი“ მძვინვარებს.

მიუხედავად ამისა პოლიტიკური წონასწორობა არ არის დამყარებული. მეურნეობა დაშლილია. კონფერენციები მიზნებს ვერ აღწევენ. მსოფლიო შეიარაღებულ მდგომარეობაში არის გაჩერებული, დღეს 11 მილიონი შეიარაღებულ ძალა სდგას, ომამდე კი მხოლოდ 7 მილიონი შეიარაღებული ძალა იყო. ბიუჯეტების მილიტარიზაცია პროგრესიულად წინ მიდის. ისედაც დაშლილ მეურნეობას ემატება სამხედრო პარაზიტიზმი.

პოლიტიკური კრიზისები უმაღლეს წერტილს აღწევს. ამის რელეფიური გამოხატულებაა კაბინეტების წამ და უწუმ დაცემა და საერთაშორისო კონფერენციების მუდმივი ხასიათი.

ასეთ ქაოსსა და დისჰარმონიის დროს კომინტერნის ძალა თანდათან ფართოვდება. თუ მას თავის პირველ კონგრესზე რამოდენიმე სახელმწიფოს წარმომადგენელნი ჰყავდა, უკანასკნელ—მეოთხე კონგრესზე, მან 55 ქვეყნის წარმომადგენელს მოუყარა თავი.

რეფორმისტების რიგებში უკვე ემიგრაცია იწყება. ამის ილუსტრაციაა გერმანეთის ფაბრიკა-ქარხნის მუშათა კონგრესი.

კაპიტალის თავდასხმა ლოღიკური აუცილებლობით იწვევს მუშათა დაქსაქსულ რიგების გაერთიანებას, მათ სიმკვრივეს. ასეთ პირობებში კომინტერნი საერთო ფრონტის პლატფორმას აყენებს, რაც ხელს შეუწყობს ამ პროცესის განვითარებას.

დღეს მსოფლიო მწვავე სოციალ-პოლიტიკური კრიზისების ეპოქაშია გახვეული.

ეს რელეფიურად სჩანდა გასულ წელს. ამ მხრივ ჩვენი პოლიტიკის ძირეული საფუძველი—თანამედროვე ეპოქის გარდამავალ პერიოდათ დასახვა—კვლავ ძალაში რჩება.

სოციალური გარდაქმნის პროცესი ხანგრძლივი პროცესია. იგი „ნახტომის მეთოდით“ არ ხასიათდება. კაპიტალიზმი არც თვითმკვლელობით ასრულებს თავის არსებობას. კრიზისების თეორია რომელიც მარქსმა სისმონდისაგან მიიღო შესწორებით და კატასტროფიული თეზისი კაპიტალიზმის განვითარებისა დღეს უარყოფილია მუშათა მოძრაობის მიერ. კაპიტალიზმი არ კვდება ბუნებრივი სიკვდილით. ასეთია სქემატიურად გასული წლის პოლიტიკური ვითარება,

კაპიტალიზვს რევოლიუციონური თავდასხმით უნდა შევეგებოთ. ამ შემთხვევაში პედანტიური წუწუნით პესიმისტურ დასკვნამდე ვერ მივალთ. ყოველი დიდი სოციალური ტეხილი სისხლიანი ხელებით არის აღბეჭდილი.

ასეთ პირობებში არ იქნება უადგილო თუ ჩვენს წერილს დავასრულებთ ისევ შპენგლერის სიტყვით: „დიდი რევოლიუციები ხდებიან სისხლითა და რკინით“.

როგორ ისმის ჩვენთვის საქართველოს საკითხი?

როგორი იყო გასულ წელს საშინაო პოლიტიკის ხასიათი? როგორი იყო ჩვენი დამოკიდებულება ამ პოლიტიკის მიმართ? ამაზე შემდეგ.

**ს. ამაღლობელი.**

ლათ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მიიღო მილიარდ ნახევარი.

— **წყალიკა და ელექტრონის გადასახადის შესახებ.** პრეზიდიუმმა დაადგინა, სთხოვოს საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს თუ ვინ უნდა გადაუხადოს აღმასკომს სამხედრო მოსამსახურეების და დაწესებულებების— წყლის და ელექტრონის გადასახადი და რა წესით.

— **მექრთამეობისათვის.** 11 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის საჯარო სხდომაზე დანიშნულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ გადმოხვეწილთა ცენტრალურ გადამგზავნ ნაწილის ყოფილ თანამშრომლის არშალუის ოლანეზოვის საქმე, რომელსაც ბრალდება ზემო აღნიშნულ თანამდებობის ასრულების დროს მექრთამეობა.

— **ცილის წამებისათვის.** 10 იანვარს ამავე რევტრიბუნალის საჯარო სხდომაზე დანიშნულია საქმე ყარაიაზის მცხოვრებ ისმაილ მირზა ოღლის, რომელსაც ბრალდება ცრუ საჩივარი ამავე რაიონის მილიციის უფროსზე თითქოს მას აეღოს ქრთამი.

— **ყაჩაღების გასამართლება.** ამავე რევტრიბუნალში გაირჩევა სოფ. სართიჭალის მცხოვრებლები ანდრიო და ზაქარია დურგლიშვილების საქმე. მათ ბრალდებათ ამ სოფელში მეწისქვილე ქორქაშვილზე შეიარაღებული თავდასხმა და გაძარცვა. აღნიშნულ ბრალდებულთა საქმეს რევტრიბუნალი გაარჩევს 24 იანვარს საჯარო სხდომაზე.

— **სამოქალაქო გადასახადის აკრეფა.** სამოქალაქო გადასახადის აკრეფა ინტენსიურად მიმდინარეობს, დღეში შემოდის 600 მილიონიდან მილიარდამდე. უკანასკნელი ვადა გადასახადის შემოტანისა საურავ გადაუხდელათ არის 7 იანვარი.

— **ქალაქის აღმასკომის ანგარიშები.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოსცეს აღმასკომის 1922 წ. მუშაობის ანგარიშები სტატისტიკურ ცნობების მოყვანით. ანგარიშების შედგენა დაევალა სასტატისტიკო-საინფორმაციო განყოფილებას. ანგარიშები უნდა გამოცემულ იქმნას არა უგვიანეს 25 იანვრისა.

— **დავკარგე.** პირადობის მოწმობა მოცემული ტფილ. სახელმწ. უნივ. ფილოსოფიურ დარგიდან ნინა თაროშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

## შეცდომის გასწორება

1 იანვრის ნომერში, ამხ. სერ. ამაღლობელის წერილში არის შემდეგი კორექტურული შეცდომა, სწერია: „ინგლისის შემოსავალი ამერიკის შემოსავლის ერთ მეექვსედს უდრის" უნდა იყოს „...ერთ მესამედს უდრის".

# პარტიაში

— **კვირას იანვრის 7, დილის 11 საათზედ „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის და ქალაქის საბჭოს ფრაქციის შეერთებული სხდომა. ყველა წევრები აუცილებლად უნდა დაესწრონ და გამოცხადნენ სწორედ დანიშნულ დროს.**

# განათლების საქმე სომხეთში

მიმდინარე წელს მთელ სომხეთში მუშაობდა 496 სკოლა, მათგან პირველ საფეხურის—484 და მეორე საფ.—12. სულ სკოლებში ირიცხებოდა 52,310 მოწაფე, მასწავლებლების რაოდენობა უდრიდა 1163: უმაღლესი განათლება მიღებული—107 საშუალო—614 და საშუალოზე ნაკლები—442. 1914 წ. ერევანის გუბ. ყველა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კერძო სკოლები შეადგენდა 247. მოწაფეთა რიცხვი უდრიდა 21.511.

# ჩვენი სკოლა

### ლათინური ასოები.

პროვინციის სასწავლებლებში გერმანულ ენას ასწავლიან ძველ გერმანულ ასოებით, შემჩნეულია, რომ ბავშვებს ამ ენის დიდი ხალისი აქვთ და მის შესწავლას ბეჯითად ეკიდებიან, რათქმა უნდა, ეს სასიხარულოა, რომ მეორე სამწუხარო მხარე არა ჰქონდეს.

ბავშვებს გერმანულს ასწავლიან მხოლოდ და მხოლოდ ძველი გერმანული ასოებით („გოტიური ასოებით"), რომელიც ამ ჟამად თვით გერმანიაში უარყოფილია და იქ უკანასკნელ დროს, როგორც პრესა, ისე წიგნები ისტამბება ლათინურ ასოებით. ეს არც გასაკვირია, რადგან კარგა ხანია ლათინურ შრიფტს მიეცა მსოფლიო ხასიათი და მნიშვნელობა.

გერმანიამაც, როგორც მსოფლიო პრაქტიკამ და ცხოვრების უცნაურ სისწორით სისტემატიურმა, დროზე შემოიღო ლათინური ასოები, როგორც მსოფლიო ფერხულში ჩაბმის გამაადვილებელი საშუალება. ამ ჟამად ლათინური ასოებია შემოღებული ამერიკაში, ინგლისში, იტალიაში, პოლონეთში და გერმანეთში.

ხოლო ჩვენში ამ ბოლო დროს, როცა საშუალო სასწავლებელს ათავებს ახალგაზრდა მან ლათინური ასოების ამოკითხვაც არ იცის, ვინაიდან საშუალო სკოლაში ისწავლა მხოლოდ გერმანული ენა და ისიც ძველი, გერმანიაში უკვე უარყოფილ ასოებით.

ასე ამ რიგად ჩვენმა აბიტურიენტმა, რომელმაც პროვინციაში დაასრულა საშუალო სასწავლებელი ლათინური ასოების ცნობაც არ იცის.

ეს დიდი დანაშაულია; ვისაც იგი ეხება, საჭიროა დაუყონებლივ გაასწოროს შეცდომა და გერმანული ენა ასწავლონ ლათინურ ასოებით, მის პარალელით შეიძლება აგრეთვე ძველი გერმანული ასოების გაცნობა, შესაძლებელია ცენტრში ეს უკვე ასეც ხდება; აუცილებელია პროვინციამაც შემოხსენებული წესი მიიღოს.

**ირ—დი.**

# მუშათა ცხოვრება

### მბეჭდავ მუშების კლუბის გახსნა.

კაპიტალურ რემონტის დათავების შემდეგ, ხუთშაბათს 4 იანვარს ყოფილი სტამბის „კარმირ ასტღ"-ის შენობაში (რუსთაველის პროსპ.) ზეიმით გაიხსნა ბეჭდვითი საქმის პროფესიონალურ კავშირის მუშათა კლუბი. ზეიმი გახსნა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ვანო ბერბერაშვილმა და წარმოსთქვა დღის შესაფერისი სიტყვა, რის შემდეგაც გამოვიდნენ მისასალმებელი სიტყვებით: საქართველოს კომუნ. პარტ. ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელი, ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის, პოლიგრაფიის, პროფკავშირთა პრეზიდიუმის, კომსომოლების, წითელ-არმიელების და მრავალმა სხვამ. ჩვენი პარტიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის, მბეჭდავი მუშების ფრაქციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა და მიულოცა კლუბის გახსნა ასოთ-ამწყობ მუშამ დ. მელაშვილმა.

მისასალმებელ სიტყვების შემდეგ შესდგა ორ განყოფილებიანი კონცერტ-დივერტისმენტი სახელმწიფო დრამის და ოპერის საუკეთესო ძალების მონაწილეობით. უკრავდა სიმებიანი ორკესტრი. საზოგადოდ ზეიმი და კერძოდ საღამო იმდენად დამაკმაყოფილებელი და შინაარსიანი გამოდგა, რომ დათავების შემდეგ მუშებში არ იყო სურვილი რომ დაშლილიყვნენ.

მბეჭდავი მუშები იმდენი დაესწრნენ, რომ კლუბის დარბაზმა ვერ დაიტია და ბევრნი გარედან ისმენდნენ საღამოს.

მბეჭდავ მუშათა შორის საკმაოდ მოიძებნება კულტურული ძალები და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამას ყურადღებას მიაქცევს კავშირის გამგეობა და შექმნის ისეთ დრამატიულ წრეს, რომელიც თავისი საკუთარი ძალებით გაუძღვება მუშათა კლუბს.

მუშათა კლუბს უეჭველად მუშა არტისტები ესაჭიროება.

**მბეჭდავი მუშ.**

# აფთიაქების შესახებ

(დასასრული*)

პერიფერიებში სააფთიაქო საქმეს არა ყავს სათანადო უფლება მოვალეობით აღჭურვილი ხელმძღვანელი. იქ ამ საქმეს ბატონ პატრონობს აღმასკომი, ჯანმრთელობის განყოფილება, დამზღვევი სალარო. ბატონ ბატრონობა ამ დაწესებულებათა გამოიხატება იმაში, რომ დამზღვევი კასას მიაქვს რა მოსამსახურეთათვის საჭირო წამლები ნისიად, არ უბრუნებს აფთიაქებს ნისიას და მით ინიავებს აფთიაქების წამლობითი მარაგს. ხოლო აღმასკომი თუ ჯანმრთელობის განყოფილება, თუ რაიმე ნაღდი შემოსავალი აქვს აფთიაქს მას იღებს და ხმარობს არა წამლების შესაძენად, არამედ სულ სხვა დანიშნულებებზე. იყო შემთხვევა, როდესაც სამაზრო აღმასკომმა სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ნებადაურთველად გასცა აფთიაქები იჯარით. ყოველგვარი თხოვნა და მუდარა აფთიაქების ადგილობრივ ხელმძღვანელთა, რომ ბოლო მოეღოს ასეთი მოვლენებს, რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ასეთ პირობებში, როსაკვირველია, საბჭოთა აფთიაქები ვერ იდგნენ და ვერც დადგებოდნენ თავიანთი დანიშნულების სიმაღლეზე. ასეთ პირობებში საბჭოთა აფთიაქებმა ვერ შესძლეს და ვერც შესძლებდნენ დაეკმაყოფილებიათ მცხოვრებთა წამლობითი მოთხოვნილება იმდენათაც კი, რამდენადაც მას აკმაყოფილებდა აფთიაქი კერძო მფლობის დროს. ყოველგვარი საწარმოვო დაწესებულება, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მაშინ არის საღი და გამარჯვებით უზრუნველყოფილი, როდესაც ის არ არის გარემოცული ხელ შემშლელი პირობებით. ჩვენ ვიცით, რომ საერთოდ ყოველგვარი „ნაციონალიზაციის" და მათ შორის აფთიაქების ნაციონალიზაციისაც უარესებლი მტრები ყავს და ამ იდეის დამარცხება მათი ოცნება იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ სააფთიაქო დარგის მუშათა უმრავლესობა ამას ვერ გაიზიარებს. აი ამიტომ, მე მგონია, უნდა გამოინახოს ის ზომები რომელნიც გააჯანსაღებენ სააფთიაქო საქმეს რესპუბლიკაში. მე ზევით ვსთქვი, არა მოიჯარადეთა, არამედ სახელმწიფოს ხელში.

ჩემის აზრით კი ასეთი ზომებს უწინარეს ყოვლისა საფუძვლად უნდა დაედვას:

1. მოწყობა ადგილებში სააფთიაქო მეურნეობის სპეციალური ხელმძღვანელი აპარატის, რომლის უფლება-მოვალეობა მტკიცეთ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული ზევიდან.

2. მტკიცეთ გატარება ცხოვრებაში წარმოების სამეურნეო წესისა, რომელიც არ ითმენს არც უფასო და არც ნისიას.

3. გარანტია იმისი, რომ აფთიაქების მთელი შემოსავალი ხმარდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სააფთიაქო საქმეს.

**პროვინციელი.**

*) იხ. „ტრიბუნა" № 387.

# წერილი გერმანეთიდან

(კერძო წერილიდან*)

.... გიგანტი ქალაქი, ქარხნების ოხვრა და ქშინვა, ელვასავით მიმქროლი მატარებლები პირამიდის მსგავსი რკინის გზის სადგურები, გაბრწყინვებული ქუჩები, უცნაური-საარაკო რა ზრდილობიანი არიან, რა სისტემის და სისწორის ხალხია გერმანელები. ყველა ზეკაცები მგონია, აქ მონობა არავის ეტყობა, პირიქით, მათი ცეცხლებრი გამომეტყველება და 24 საათ განუწყვეტელი შრომა გვაფიქრებინებს, რომ თუ საკითხი მონობაზე მიდგა, გერმანელები სხვებს დაიმონებენ. ამ მცირე წერილში ვერ ვახერხებ „ყველა უცნაურობათა" და საოცრებათა გაზიარებს. ანტანტის მიერ საღრობელაზე აყვანილი გერმანია ამჟამათ გიგანტურ ნაბიჯებს სდგამს აღორძინებისათვის და ბევრს ახალს ჰპირდება კაცობრიობას. ამ ხანად მე ჩაყლაპული ვარ ზერელე შთაბეჭდილებით, და გერმანეთის ცხოვრების სიღრმეში ჯერ არ შემიხედნია, ვეცდები მალე მოგწეროთ გერმანეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ წერილები. შორს დარჩენილი სამშობლო გაგიჟებით მენატრება, საქართველოდან ასე შორი მანძილით ყოფნამ გამოიწვია ჩემში სამშობლოსადმი უცნაური ტრფიალება.

ქართულ შრიფტით შეფერილი ქაღალდი ახლა მე ისე მშია, როგორც ხანგრძლივ მუშაობის შემდგომ კაცს მოშივნია პური, შორეულ სალამს და ჰაეროვან კოცნას უგზავნი საყვარელ სამშობლოს.

**რ. ჯ.**

*) ეს წერილი მიღებულია გერმანიაში ახლად ჩასულ ერთ ქართველ ახალგაზრდისაგან.

# მოფენილი ამბები

**სამტრედია.** აბირებულია სამტრედიის ყოფა, არც სოფელია, არც ქალაქი, თუმცა ყველა მის გარშემო მდებარე სოფლები ძალიან ცდილან ამ „ქალაქის ფარგლებში" ჩარიცხვას. ცდაც გაუნაღდებიათ და ამ ჟამად სამტრედიას ქალაქდ გაქალაქების მაძიებელ სოფელთა შემომატებით უკვე უჭირავს ევროპის რომელიმე პატარა რესპუბლიკის ოდენი ტერიტორია... თვალი გადავავლოთ ამ ქალაქის გარეგნობას, ღამღამობით აქ (განსაკუთრებით სადგურის უკანა ნაწილში) უფრო ბნელა, ვიდრე რომელიმე მივარდნილ სოფელში. მთვარეს სამტრედიის მცხოვრებნი ისე ჰნატრობენ, როგორც ძველი იაფეტის ქართველი ტომი ჰნატრობდა!.. ქუჩებში ცუდ ამინდში სიარული გაცილებით უფრო ძნელია აქ ვიდრე სათიხე-სატალახე სოფლებში. აქაური ტალახი უცნაურად იწეპება, ის მეტად ემტერება „კალოშიანებს" და ბევრს ატოვებინებს ასეთს. ამ ჟამად ქვემო იმერეთის ყოველ სოფელში სწარმოებს გზების შეკეთება, გზებზე ჰყრიან ქვებს, ქვიშას და მშვენიერ გზატკეცილებს ჰმართავენ, სამტრედიაშიც აკეთებენ გზებს, მაგრამ ვაი ასეთ გაკეთებას! მოზელილ ტალახს უმატებენ ისევ ტალახს (მიწას), რის გამოც ქუჩები იხრდება და ალაგ-ალაგ სრულიად გაუვალი ხდება... ახლა შევიხედოთ აქაურ დაწესებულებებში მაგრამ ამაზე შემდეგში.

**ევროპიელი.**

**სამუსიკო სკოლა.** სამტრედიაში დაარსდა სამუსიკო სკოლა ამას წინად სკოლის დამაარსებელ წინასწარ საორგანიზაციო კომისიას ჰქონდა დამფუძნებელი კრება. არჩეულ იქმნა გამგეობა და გამგეობის წევრნი. სკოლამ მოქმედება უკვე დაიწყო.

სამტრედიის ბაზარზე არაჩვეულებრივი სიძვირე ჩამოვარდა, განსაკუთრებით გაძვირდა მანუფაქტურა. სიმინდიც უკვე 100,000-ზედ ავიდა ფუთი.

### ახალ-სენაკი

სკოლების დათვალიერება ინსტრუქტორების მიერ დასრულდა მარტვილის, ბანძის, სალხინოს და ნაქალაქევის რაიონებში. ამ ადგილებში კონფერენციებიც დასრულდა. დარჩენილია მხოლოდ ახალ სენაკის, ძველი სენაკის და აბაშის რაიონები.

სკოლების დათვალიერება მოხდა ძლიერ დაკვირვებით. მასწავლებლებს მიეცათ ახალი ინსტრუქციები. კონფერენციებს ჰქონდა საქმიანი ხასიათი. მოხსენება იყო წმინდა პრაქტიკული შინაარსის. სახელმძღვანელოების მხრით სკოლების საქმე მოიკოჭლებს, სკოლებში შემოღებულია მასწავლებელთა თვითმართველობა.

### აჭარა

აჭარის ცკ. სამ. საბჭომ გაგზავნა ტფილისში ორი წარმომადგენელი ბათომის ნავთსადგურის რემონტის „ტორგში" მონაწილეობის მისაღებად ცკ. სამ. საბჭოს განკარგულებაში არის ამ კაპიტალური მუშაობის შესასრულებელი საშუალებები.

— საქ. პროფკავშირთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილია მტვირთავთა არტელების დაშლა და ტვირთოპერაციების სახ. ორგანოებზე გადაცემა, რომელთა ხელში მტვირთავნი იმუშავებენ, როგორც დაქირავებული მუშები. ეს ბოლოს მოუღებს იმ განკერძოებას პროფკავშირთა ცხოვრებისა და ინტერესებისაგან, რომელიც შეიქმნა არტელების წყალობით.

### აფხაზეთი

ფარმაცევტიულ განყ. კოლეგიამ განიხილა რა აფთიაქების ნაციონალიზაციის საკითხი, აღიარა მცხოვრებთა წამლებით მომარაგების საქმის სახელმწიფოს ხელში გადასვლის აუცილებლობა. ამისათვის ფარმ. განყ. მიეცა უფლება მთელი რიგი საბჭოთა აფთიაქების გახსნისა კოლეგია ფიქრობს, რომ ამ გზით სახელმწიფო შესძლებს ხელში ჩაგდებას აფხაზეთის ს. ს. რ. წამლებით. მომარაგებას.

# ხელოვნება

### ბარბარე ამირაჯიბის მუსიკალური დილა

ტფილისის მუსიკალურ წრეებში დიდი ხანია ცნობილი ბარბარე ამირაჯიბის სახელი, როგორც ფორტეპიანოს ჩინებული მასწავლებელი და აკომპანიატორი. მაგრამ ალბათ ბევრი არ იცნობს მას როგორც პიანისტკას და კომპოზიტორს. როგორც ასეთს მას იცნობენ მხოლოდ მისი მოწაფენი, მათი მშობლები და პირადი ნაცნობები. ეს სამწუხაროა, რადგან როგორც აღვნიშნე მისი ნიჭი იშვიათია. მე ამაში დავრწმუნდი გუშინ, როცა ვისმენდი მის ნაწარმოებებს ფორტეპიანოსთვის სიმღერით ამირაჯიბის ნაწარმოებთა მთავარი ლეიტმოტივალიზმი Andante Religioso ეს ლოცვაა, რომელსაც მსმენელი მიყავს ხმათა სამეფოში, კარგია ნოკტიურნი Em-ll, D-dur კარგია ქართული სიმღერებიც, მუსიკალური სურათიც „მთვარიანი ღამე", „შემოდგომის სიმღერა"; მაგრამ ყველას სჯობია ნაწარმოები „საბავშო ოთახში" მუსიკალურ სურათებში ბავშვთა ცხოვრების დახატვა ამირაჯიბს ჩინებულად შესძლებია. სიუიტა იწყება ნანათი-ბავში იძინებს. შემდეგ ბავშთა სიზმარი: გაცოცხლებული სათამაშოები: 1) დათვი, ჯარის-კაცები, შემდეგ გნომები. მთელი რიგი სურათებისა. არ ვიცი დაბეჭდილია თუ არა ეს ნაწარმოები: არა მგონია. სახალხო განათლების კომისარიატმა კი უნდა დაეხმაროს ამირაჯიბს ამის გამოსაცემად. ამისათვის საჭიროა, რომ ნიჭიერმა კომპოზიტორმა თავის ნაწარმოები გააცნოს როგორც განათლების სათავეში მდგომ პირებს, ისე ფართო საზოგადოებასაც. რაც მალე მოხდება, მით უკეთესი.

**ვ. ბებუთოვი.**

### ტერ-დანიელიანის კონცერტთა ციკლი

შემოდგომის სეზონის ერთ-ერთ სიმფონიურ კონცერტზე გამოსულმა მომღერალმა ტერ-დანიელიანმა წარსულ წლ. ნოემბრის სამს, დასდგა თავისი პირველი lieder-a bend-ით. მომღერალმა თავისი ვოკალური განათლება დაიწყო ტფილისის მუსიკალურ სასწავლებელში, შემდეგ დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია პროფ. ირეცკის კლასით, ამ ჟამად იგი უკვე დასრულებული მომღერალია, აქვს ლირიკო-კოლორატურული ხმა საშუალო ძალის.

მუსიკალობა, სერიოზულობა, ინტელიგენტობა შეადგენს მის ნიჭს. მაგრამ მისი ერთ-ერთი დამტკიცებითი მხარეა სკოლა. ჩემის ფიქრით მისი ნამდვილი მოწოდებაა საკონცერტო სიმღერა და მომღერალიც ალბად ასე ფიქრობს რადგან პროგრამის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის იტალეთის, გერმანეთის და რუსის კლასიკებს. საოპერო არიები ნაკლებ უხდება მომღერალს. განსაკუთრებით კარგი იყო მის მიერ შესრულებული მოცარტის სიმღერა „ია" და „მოხუცი", უკანასკნელი სრულდება სტილის დასაცავად mezzo-voce-თი, რაც ამდენს შთაბეჭდილებას. კარგად შესრულდა შუბერტის სერენადა და მირეაროლი, სიმღერა „ახალგაზდა მონაზონი" ითხოვს მეტ ტემპერამენტს. რუს კომპოზიტორების რომანსების შესრულება დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. შუმანის ლოდოფლის არია ნელ tempo-თი უნდა შესრულდეს. მოქ. დანიელის კონცერტები საინტერესო გვერდით უნდა ჩაითვალოს ტფილისის მუსიკალურ ცხოვრებაში.

**ვ. ბებუთოვი.**

შაბათს, 13 იანვარს, ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების ჟურნალის „სამკურნალო მეცნიერების მოამბეს" ფონდის გასაძლიერებლად რუსთაველის თეატრში დადგმული იქნება ცნობილ რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ლოპე-დე-ვეგას ცნობილი პიესა „ცხვრის წყარო„ — „ფუენტე ოვეხუნა", რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართულ აკადემიურ დრამის საუკეთესო ძალები.

წარმოდგენის შემდეგ რუსთველის თეატრის სარკის დარბაზში გაიმართება ვახშამი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

**დავკარგე** პირადობის მოწმობა მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან აგრონომიულ ფაკულტეტის მე-4 სემესტრის სტუდენტი ლიდია მელიტონ ცაგარლის ასულის სახელზე.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

დოკტორი გ. მეგრაბიანცი
„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"
შინაგანი და ვენერიული ავადმყოფობისა, რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.
იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.
№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 56

ტირაჟი 1.000
საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.